ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №28

30.06.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179137-03; 28.06.2023);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023);**

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-

53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023);**

4. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023);**

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023);**

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023);**

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული

სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023);**

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023).**

მომხსენებლები:

- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179137-03; 28.06.2023):**

ლ.მიქავამ ვრცლად ისაუბრა 2023 წლის დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შესახებ და გამოთქვა მზადყოფნა, კითხვების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად განეხილა საკითხი.

როგორც მან განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს გადასახდელების ნაწილში არსებული რესურსების გადანაწილების ხარჯზე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა რჩება უცვლელი და შეადგენს 1 803 072,3 ათას ლარს. წარმოდგენილ პროექტში, გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახურის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების

შესახებ წინადადებები. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 2 500,0 ათასი ლარით;
- სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“ (კოდი 10 18) - 8 1 40,6 ათასი ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - 7 939,5 ათასი ლარით;
- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 1 382,9 ათასი ლარით.

ასევე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა. კერძოდ, სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 687 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4777 ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 665 278,1 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 137 794,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 605 178,1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო 95 678,7 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 2, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179137-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):**

ვ.აბულაძე - სააგენტოს დებულებაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება უკავშირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში დაგეგმილ ცვლილებებს. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება ემსახურება გადახდის სისტემაში არამატერიალური ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების სრულყოფილად ფუნქციონირებას. კერძოდ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის ფასის გადახდისას გამოიყენება მობილური აპლიკაციები (Apple pay, Tskapp, Google pay). მომხმარებელი აბამს აპლიკაციაში ბარათს, რომელიც შეიძლება იყოს მატერიალური, ასევე ციფრული სახით. ხშირია შემთხვევები, როდესაც მობილურ აპლიკაციებში ხდება შეღავათიანი მგზავრობის ბარათის მიბმა ელექტრონულ აპლიკაციაზე და ამ დროს ხდება ბარათზე სტანდარტული ტარიფის ჩამოჭრა, რაც იწვევს მომხმარებლის უკმაყოფილებას. ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში ფართოდ დაინერგა ციფრული ბარათები, რომლებიც წარმოადგენს არამატერიალური სახით გამოშვებულ ბარათებს და მათ გააჩნიათ იგივე ფუნქციები, რაც მატერიალურ ბარათებს. მზარდია არამატერიალური ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების წილი გადახდის ტრანზაქციებში, მათ შორის, საზოგადოებრივ ტრანსპორტში. შესაბამისად, სულ უფრო მეტად იზრდება ცალკეული შეღავათიანი კატეგორიების (მათ შორის სტუდენტების და მოსწავლეების) მიერ მოთხოვნა აღნიშნული სერვისით სარგებლობის მიმართ, ვინაიდან მეტად მოხერხებულია მობილური ტექნოლოგიების გამოყენება გადახდისას, არ არის საჭირო დამატებით ფიზიკური ბარათის ტარება, გადახდა ხორციელდება სწრაფად და უსაფრთხოდ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, №6-25 დადგენილების პირველ მუხლში შედის შესაბამისი ცვლილება და იგი ყალიბდება ახალი რედაქციით.

ამასთან, თბილისის საკრებულოს №6-25 დადგენილების 4^1 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციით, უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სხვა პირთა მგზავრობისათვის გამოყენება ან ამ ბარათის გადაცემა სხვა პირისათვის, რომელიც აღნიშნულ ბარათს გამოიყენებს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ტრანსპორტში თავისი ან/და სხვა პირთა მგზავრობისათვის, აღნიშნული შემთხვევის გამოვლენისას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირი უზრუნველყოფს სამართალდამრღვევი პირის კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმებას და დაუყოვნებლივ იღებს გადაწყვეტილებას უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის სამგზავრო ფუნქციის დაბლოკვის შესახებ. №6-25 დადგენილების საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი რედაქციის შესაბამისად, იმ მიზნით, რომ მოქალაქეს არ შეეზღუდოს მისი კუთვნილი გადახდის სხვა საშუალებით მგზავრობის უფლება, დაიბლოკება არა გადახდის სხვა საშუალების სამგზავრო ფუნქცია, არამედ გადახდის სხვა საშუალებით მხოლოდ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ფუნქცია, ხოლო გადახდის სხვა საშუალების სამგზავრო ფუნქცია ძალაში რჩება და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მგზავრობის სრული და არა შეღავათიანი ტარიფის გადახდის პირობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულების გარკვეულ მუხლებში. კერძოდ, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ[2]“ ქვეპუნქტში, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტში, მე-8 მუხლის: მე-9 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში, მე-16 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტსა და მე-20 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტში, რაც დაკავშირებულია უფასო და შეღავათიანი მგზავრობით მოსარგებლე პირთა სამგზავრო პლასტიკური ბარათის დაბლოკვის ან გადახდის სხვა საშუალების უფასო ან შეღავათით მგზავრობის ფუნქციის დაბლოკვის ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრების შემთხვევაში საჩივრის განხილვის, გადაწყვეტილების მიღების, საჩივრების სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მარეგულირებელი ნორმების სააგენტოს დებულებაში ინტეგრირებასთან.

ამასთანავე, პროექტის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილებად განისაზღვრება კომპეტენციას მიკუთვნებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, დადგენილების გამოცემა და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლებით სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდის ოდენობის განსაზღვრული კატეგორიისთვის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 240[1]-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მუნიციპალიტეტის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ სფეროში ჩადენის შემთხვევაში, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირების საფასური და სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასური მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში - არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში - არაუმეტეს 800 ლარის ოდენობით, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე შენახვის საფასური მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – დღეში არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით, ხოლო სხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – დღეში არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით“.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების 4[1] მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და სპეციალურ დაცულ სადგომზე დღეში შენახვის საფასურები სატრანსპორტო

საშუალებების კატეგორიების მიხედვით. სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის შემთხვევაში ხშირად ხდება დავის საგანი რომელ კატეგორიას განეკუთვნება დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალება და დაჯარიმებული პირი არ ეთანხმება საფასურის თანხას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მინიჭებული ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდის საფასურის ოდენობის განსაზღვრული კატეგორიისთვის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საგენტოს ფუნქციებს ემატება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, დადგენილების გამოცემა. შესაბამისად ცვლილება შედის დებულების მე-3 მუხლში და მუხლის მე-2 პუნქტს ემატება ახალი ქვეპუნქტი.

ამასთან, მე-8 მუხლის მე-16 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დაკონკრეტდა, რომ მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში მგზავრობის საფასურის გადახდის კონტროლის სამსახურის თანამშრომლის უფლებამოსილებას მიეკუთვნება სამგზავრო ბილეთის ან ელექტრონული გადახდის საშუალების წარდგენის მოთხოვნა M2 და M3 კატეგორიის ავტობუსში, მგზავრის ავტობუსიდან ჩამოსვლისას და ახლა უკვე მგზავრობის დაწყების დროსაც.

ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის პირველი აგვისტოდან ძალადაკარგულად ცხადდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილება, დებულების მე-8 მუხლის მე-20 პუნქტს, „ო“ ქვეპუნქტის შემდეგ, ემატება „ო1“ ქვეპუნქტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² მუხლით და 135³ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილება ძალადაკარგულად ცხადდება 2023 წლის პირველი აგვისტოდან.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი სამართლებრივი აქტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთი და იგივე მუხლებით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის/შევსების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ისე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას".

მიმდინარე სატრანსპორტო რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან მომუშავე პარტნიორი ორგანიზაციების, დონორების, აზიის განვითარების ბანკი და კონსულტანტი საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების, ასევე, თბილისის ახალ სატრანსპორტო გეგმაზე მომუშავე გუნდის პრინციპული პოზიციაა, რომ ტრანსპორტის სისტემის გამართულად ფუნქციონირების ინტერესიდან გამომდინარე, მონიტორინგისა და აღსრულების ფუნქციები/უფლებამოსილებები მაქსიმალურად თავს იყრიდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ქვეშ და არა რომელიმე მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორთან.

ყოველივე ზ/ა გათვალისწინებით, 2023 წლის პირველი აგვისტოდან ძალადაკარგულად ცხადდება 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილება, ხოლო სააგენტო ერთპიროვნულად განაგრძობს საჯარიმო ქვითრების შედგენის უფლებამოსილებას.

პროექტის მიმართ შენიშვნები არ გააჩნია შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):**

ვ.აბულაძე - როგორც წინა საკითხის განხილვის დროს აღინიშნა ერთი და იგივე მუხლებით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის/შევსების უფლებამოსილება მინიჭებული აქვთ როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ასევე შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“.

ამასთანავე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19-70 დადგენილების თანახმად, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ გააჩნია საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შემთხვევაშიც. იგივე ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებითაც საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება ერთპიროვნულად უნდა განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 2023 წლის პირველი აგვისტოდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილება.

ამასთან, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ეძლევა საშუალება ამ დადგენილების ამოქმედებამდე მის მიერ შედგენილ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებულ ადმინისტრაციულ სახდელთან (ჯარიმასთან) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედება განახორციელოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):

ვ.აბულაძე - აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება კვლავ №6-25 დადგენილებაში დაგეგმილ ცვლილებას უკავშირდება, რომლის თანახმადაც, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის შედგენისას და ამავდროულად ბარათის დაბლოკვის ფუნქციის გამოყენებისას დაიბლოკება არა ბარათის სამგზავრო ფუნქცია, არამედ მხოლოდ უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ფუნქცია, ხოლო ბარათის სამგზავრო ფუნქცია ძალაში დარჩება და მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მგზავრობის სრული და არა შეღავათიანი ტარიფის გადახდის პირობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში.

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილებები შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-70 და 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებებში, შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება №57-52 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებში და ემატება ახალი ქვეპუნქტები.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1 ივლისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 1252 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 1341 მუხლით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 1252 მუხლით, 135-ე-1355 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):**

ვ.აბულაძე - დადგენილებაში ცვლილება უკავშირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთვის სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის, სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის საფასურის გადახდის საფასურის ოდენობის განსაზღვრული კატეგორიისთვის სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭებას, რის გამოც, საჭიროა ცვლილებების შეტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაშიც და დადგენილების სათაურის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება. კერძოდ სათაური განისაზღვრება შემდეგნაირად - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ".

გარდა ამისა, პროექტის თანახმად, დადგენილებაში ცვლილებები შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში დაგეგმილი ცვლილებებიდან გამომდინარე.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი ივლისიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):**

ვ.აბულაძე - დადგენილებაში ცვლილება ემსახურება, უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირების მიერ (მათ შორის სტუდენტები და მოსწავლეები) ციფრული ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების სრულყოფილი ფუნქციონირების დანერგვას. ვინაიდან მზარდია არამატერიალური ბარათებით შესრულებული ტრანზაქციების წილი გადახდის ტრანზაქციებში, მათ შორის, საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისი ცვლილებები შედის დადგენილების პირველ მუხლში, ასევე, 3[1], მე-8, მე-9, მე-15-18[1] მუხლებში.

დადგენილების 22-ე მუხლის მოქმედი რედაქციით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლით დადგენილი პირებისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულ(ებ)ის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ

უფლებამოსილი სუბიექტ(ებ)ის მიერ ამ დადგენილების ამოქმედების შემდეგ გაცემულ ბარათებზე აუცილებლად უნდა იყოს დატანილი მისი მფლობელის სახელი, გვარი და პირადი ნომერი“.

ციფრული ბარათებით მგზავრობის თანხის გადახდისას, საჭირო ხდება მფლობელის პირადი მონაცემების ელექტრონულად ავტომატური გადაცემის საჭიროება, რადგან ფიზიკურად ბარათის გამოყენება არ ხდება. ამასთან, მატერიალური ბარათების შემთხვევაშიც, საჭირო ხდება და იგეგემება უკვე გაცემულ ბარათებზე (მათ შორის: პენსიონერების ბარათებზე) შეღავათიანი მგზავრობის გააქტიურება დისტანციურად, რაც მოქნილს ხდის მართვის პროცესს. ამავე დროს, ციფრული ბარათებით მგზავრობის თანხის გადახდისას გამარტივდება კონტროლის პროცესიც, აღარ იქნება საჭირო 11-ნიშნა პირადი ნომრის ხელით აკრეფა და უკვე ელექტრონულად გამოიტანება მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, რაც ამარტივებს და უფრო სწრაფს და მოქნილს ხდის კონტროლის პროცესს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ხშირ შემთხვევაში, მატერიალურ ბარათზე დატანილი პირადი ნომერი იშლება ან ზოგიერთ შემთხვევაში მას შეგნებულად შლიან, რაც დამატებით აფერხებს კონტროლის პროცესს და იწვევს კონფლიქტებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილების 22-ე მუხლში შედის შესაბამისი ცვლილება და ყალიბდება ახალი რედაქციით. ასევე, დადგენილებიდან ამოღებულ იქნა მე-20, 20^1, 20^2, 21-ე, 21^1, 20^2 მუხლები.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის პირველი აგვისტოდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის და M2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-0323179130-03; 28.06.2023)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023):

ვ.აბულაძე - ვინაიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ხორციელდება ცვლილებები, გადახდის სისტემაში არამატერიალური ბარათების ფუნქციონირების სრულყოფის მიმართულებით, დღის წესრიგში დგას, ცვლილების საჭიროება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტში.

დადგენილება ამოქმედდება 2023 წლის 1 აგვისტოდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა (მომხრე - 0, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0323179130-03; 28.06.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე